პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 41

2018წ. "20" 03

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" ავტორიზაციის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისს" (საიდენტიფიკაციო კოდი:215101716) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 435-ით.
2. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №5 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
2	შემდუღებელი	მესამე	შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041272	45	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
3	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	45	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
4	ძრავის შემკეთებელი	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
5	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053	60	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
6	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მესამე	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული ვკვალიფიკაცია 112054	45	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
7	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
8	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

9	მოლარე (ბანკის და ა.შ)	მესამე	მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020152	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	91	106	ქართული	40	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	36	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
3	ელექტროობა (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	56	71	ქართული	26	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
4	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	40	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
5	ფერმერობა მეთევზეობაში (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

6	თევზის გადამუშავება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
7	ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
8	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (1)	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	93	108	ქართული	13	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.